საკასაციო საჩივარი

საქმის ნომერი	2კ-940ა3.-21	**შედეგი**	განაჩენი შეიცვალა
თარიღი	15/03/2022		

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე # 180100121004629136

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განაჩენი
საქართველოს სახელით

№940ა3-21 ქ. თბილისი
ჩ. რ., 940ა3-21 15 მარტი, 2022 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მამუკა ვასაძე (თავმჯდომარე),
შალვა თადუმაძე, ლალი ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ თეონა გოდერძიშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა თეონა გოდერძიშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა და ითხოვს რ. ჩ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენაში, რადგან მიიჩნევს, რომ მის ქმედებაში გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა; რ. ჩ-ს 2020 წლის 22 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, თუმცა 2020 წლის 9 აგვისტოს იგი მართავდა ავტომობილს, რისთვისაც 2021 წლის 4 აპრილს წარედგინა ბრალდება ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობისათვის; კასატორის მტკიცებით, ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 30 ივნისის განაჩენით დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე და რ. ჩ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდა, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები აღუდგა, არ ცვლის იმ მოცემულობას, რომ მან 2020 წლის 9 აგვისტოს ჩაიდინა ბრალად შერაცხული დანაშაული.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, რ. ჩ-ს, - დაბადებულს .. , - ბრალად დაედო ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2020 წლის 22 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რ. ჩ-ს ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება - 6 თვით. მიუხედავად ამისა, 2020 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით 19:00 საათზე, მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე, ... რ.ჩ. მართავდა ავტომობილს.

3. რ. ჩ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 ივლისის განაჩენით რ. ჩ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

5. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა თეონა გოდერძიშვილმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 ივლისის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც რ. ჩ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა და იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას, რომლის თანახმად, მის ქმედებაში ბრალად შერაცხული დანაშაულის - კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობის - შემადგენლობა არ იკვეთება, კერძოდ:

3. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე რ. ჩ-ს ედავებოდა კანონიერ ძალაში შესული, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 22 მაისის განაჩენის შეუსრულებლობას, რომლითაც მას ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება - 6 თვით, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2020 წლის 9 აგვისტოს იგი კვლავ მართავდა სატრანსპორტო საშუალებას. ამდენად, რ. ჩ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით ბრალად შერაცხული ქმედების შემადგენლობისათვის სავალდებულოა, ერთი მხრივ, გამოკვეთილი იყოს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 22 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი აკრძალვა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ აკრძალვის განზრახ უგულებელყოფა.

4. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

6. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციურ დებულებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: ,,საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელებისთვის კონსტიტუციურ საფუძველს. მართალია, ის არ ბოჭავს ხელისუფლებას ისეთივე აბსოლუტური, უპირობო ვალდებულებით, როგორსაც წარმოადგენს ამავე ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვა, მაგრამ ნამდვილად დამატებით ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულების ფარგლებს პრინციპით - არ მოხდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ/აღარ არსებობს და იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, **მამუკა** ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II -71).

7. ,,როდესაც ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია ან სასჯელის შემსუბუქება, საფუძველი ეცლება გარკვეული დროით ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას... პირმა პასუხი უნდა აგოს რეალურად საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისთვის, ამასთან, იმ წესითა და ფარგლებში, რაც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნების მისაღწევად" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, **მამუკა** ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II - 64).

8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ ,,Nullum crimen, nulla poena sine lege" - კონვენციის მე-7 მუხლში ასახული გარანტია, რომელიც კანონის უზენაესობის არსებითი ელემენტია, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კონვენციის დაცვის სისტემაში, რასაც ხაზი ესმება იმ ფაქტით, რომ მე-15 მუხლი არ უშვებს მისგან გადახვევას, თუნდაც ომის ან ერის სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი სხვა გადაუდებელი ვითარებისას. ის უნდა განიმარტოს და შემდეგ მოხდეს მისი შეფარდება მისი ობიექტისა და მიზნის შესაბამისად, იმგვარად, რომ საკმარისი გარანტიები შექმნას თვითნებური ბრალდების, მსჯავრდებისა და დასჯისგან (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებები საქმეებზე: *S.W. v. the United Kingdom* § 34, სერია A № 335-B, და *C.R. v. the United Kingdom* § 32, სერია A № 335-C, 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kafkaris v. Cyprus* [GC], § 137; 2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Rohlena v. the Czech Republic* [GC], § 50).

9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და იმის მხედველობაში მიღებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის განაჩენით გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 22 მაისის განაჩენი, ხოლო რ. ჩ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდა და აღუდგა ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, მის ქმედებაში გამოკვეთილი აღარ არის დანაშაულის - კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობის - შემადგენლობისათვის სავალდებულო ერთ-ერთი ელემენტი და, შესაბამისად, რ. ჩ-ს ბრალდება მოკლებულია მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

10. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ჩ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა, კანონიერია და არ არსებობს გამამართლებელი განაჩენის გაუქმების რაიმე სამართლებრივი საფუძველი.

11. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რ. ჩ-ს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო - 1000 ლარი, რომელიც სასამართლოში წარმოდგენილი გირაოს გადახდის დამადასტურებელი ქვითრების თანახმად, 2021 წლის 17 მაისს სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიუროს" ანგარიშზე შეიტანა რ. ჩ-მ.

12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე, ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით), თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: იმის მხედველობაში მიღებით, რომ არც ბრალდების მხარეს გაუხდია სადავოდ და არც საქმის მასალებით დადგენილა, რომ რ. ჩ-მ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და არც მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით შეფარდებული გირაოს თანხა - 1000 ლარი განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ თეონა გოდერძიშვილის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ თეონა გოდერძიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს;

3. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის განჩინებით რ. ჩ-სათვის შეფარდებული გირაოს თანხა - 1000 ლარი განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში დაუბრუნდეს მის შემტან პირს;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	მ. ვასაძე
მოსამართლეები:	შ. თადუმაძე
	ლ. ფაფიაშვილი

<< უკან

«წინა შემდეგი»

© 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ყველა უფლება დაცულია.

ტექნიკური მხარდაჭერა IDEA DESIGN GROUP